პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 10 (10404) | ხუთშაბათი, 12 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

# პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

## უზრუნველვყოთ საწარმოთა რიტმული მუშაობა

მრავალი ბრწყინვალე შრომითი გამარჯვებით, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში მოპოვებული ახალი წარმატებებით შეხვდა საბჭოთა ხალხი 1956 წელს.

ვადამდე, ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში განაღდა მან მეხუთე ხუთწლედი, პირნათლად შეასრულა სამრეწველო წარმოების ზრდის 1955 წლის გეგმა, უზრუნველყო მძიმე მრეწველობის — სახალხო მეურნეობის ამ საფუძველთა საფუძვლის შემდგომი განვითარება და სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში დასახული წლიური პროგრამის გადაჭარბებით განაღდება.

სამრეწველო წარმოების ზრდისათვის ბრძოლაში მიღწეული დონე, განვითარების ტემპი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხი მეექვსე ხუთწლედის დამთავრებამდე შეასრულებს პარტიის მიერ სამამულო ომის დამთავრებისთანავე დასახულ დიად ამოცანებს: მისცეს ქვეყანას ყოველწლიურად 50 მილიონი ტონა თუჯი, 60 მილიონი ტონა ფოლადი და 500 მილიონი ტონა ქვანახშირი. რაც შეეხება ნავთობს, საბჭოთა მენავთობეები უკვე ახლა იძლევიან ყოველწლიურად 70 მილიონ ტონა ნავთობს.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესრულებაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს — ვადამდე შეასრულეს 1955 წლის გეგმები ჭიათურელმა მაღაროელებმა, ტყიბულელმა მეშახტეებმა, რუსთავის მილმგლინავებმა. გასული წლის 11 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მარგანეცის წარმოება გადიდდა 13 პროცენტით, ფოლადისა — 14 პროცენტით, ნაგლინისა — 23 პროცენტით, ქვანახშირის მოპოვება — 6 პროცენტით, ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება — 17 პროცენტით და ა. შ.

ყოველ საბჭოთა ადამიანს ახარებს იმის შეგნება, რომ მოპოვებულ წარმატებებში მისი შრომითი წვლილიც არის. ეს შეგნება სიამაყის გრძნობით ავსებს საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის თვითეული მუშაკის, ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის თვითეული მშრომელის გულს. მაგრამ ამასთან მათ ისიც იციან, რომ მომავალში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად ბრძოლაში კიდევ მეტი ენერგიის, მეტი მონდომების გამოჩენა მოეთხოვებათ.

1956 წელი მეექვსე ხუთწლედის პირველი წელია. მეექვსე ხუთწლედში რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებს საგრძნობლად გადიდებულ საწარმოო დავალებათა შესრულება ეკისრებათ. საჭირო იქნება შეუპოვარი და შეუნელებელი ყოველდღიური ბრძოლა სამრეწველო წარმოების განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად, ხოლო ეს შესაძლოა ტექნიკური პროგრესის განხორციელების ვითარებაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის ბაზაზე, რიტმულობის მტკიცედ დანერგვის პირობებში.

საწარმოთა რიტმულ მუშაობას, როგორც მთელ რიგ საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, უფრო ხშირად აფერხებს შრომის ცუდი ორგანიზაცია, საწარმოო დისციპლინის სისუსტე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოუწესრიგებლობა, ე. ი. ისეთი მიზეზები, რომელთა გამოსწორება სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის უნარზე. მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებს, საშახტო პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს შრომის დისციპლინის განმტკიცების ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ამ შესაძლებლობათა გამოყენებას არ შეეცადნენ, ამის შედეგად 1955 წლის მარტო 11 თვეში 3.200-ზე მეტი კაც-დღე დაკარგეს, რამაც, ცხადია, გაამრავა არარიტმულობა, გამოიწვია ქვანახშირის მოპოვებაში ჩამორჩენა.

რესპუბლიკის მთელ რიგ მანქანათმშენებელ ქარხნებში შარშან რიტმული მუშაობის შეფერხება გამოიწვია საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, შრომისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობამ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში აღრიცხულია 1.500-მდე ახალგაზრდა მუშა, რომლებიც ქარხნისაგან საგრძნობლად დაშორებულ სოფლებში ცხოვრობენ და საწარმოში სარეისო ავტოტრანსპორტით დადიან. გასაგებია, რომ მგზავრობის შემდეგ მათი შრომის ნაყოფიერება ისეთი არ იქნება, როგორიც იქნებოდა ქარხნის მახლობლად რომ ეცხოვრათ, გაცდენებიც ნაკლები იქნებოდა.

ყოველივე იმას, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდას და რიტმულ მუშაობას ხელს უშლის, ამთავითვე უნდა მოეღოს ბოლო. ამისათვის საჭიროა საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, მოაწესრიგონ შრომის ორგანიზაცია და უკეთ მოაწყონ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე.

პირველი ცნობები, რომლებიც მოდის რესპუბლიკის სამრეწველო რაიონებიდან და ცალკე საწარმოებიდან, ცხადყოფენ მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას — იმუშაონ რიტმულად, უზრუნველყონ საწარმოო დავალებათა თანდათან მზარდი მაჩვენებლებით შესრულება და საამაყო მიღწევებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას საქართველოს მრეწველობის საწარმოთა დიდი უმეტესობა უკეთესად მომზადებული შეუდგა, ვიდრე წინა წლებში იყო. წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად მუშაობენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის, ჭიათურის მთელი რიგი მაღაროების კოლექტივები, მეშახტეები, მანქანათმშენებლები, ნავთობგადამმუშავებლები, ლოკომოტივშემკეთებლები.

რიტმული მუშაობის მტკიცედ დამკვიდრებისათვის საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ კომუნისტური მშენებლობის ისეთი მრავალგზის შემოწმებული მეთოდი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ახლა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად უმაგალითო მასშტაბით არის გაჩაღებული.

საჭიროა ამასთან ფართოდ მოვაწყოთ მოწინავე გამოცდილების გავრცელება და დახმარება ჩამორჩენილებისადმი, რათა მივაღწიოთ საერთო აღმავლობას, არ გვეყოლოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა წლის დასაწყისიდანვე უზრუნველყონ საწარმოთა თანაბარი, რიტმული მუშაობა და ამით მიაღწიონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმების უთუო და ვადამდე შესრულებას, ახალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

## ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ირანის პარლამენტის დელეგაციის მეთაური ბ-ნი მოჰამედ საედი

11 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სსრ კავშირში მყოფი ირანის პარლამენტის დელეგაციის მეთაური ბ-ნი მოჰამედ საედი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

## ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მ. დეჟანი

11 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მორის დეჟანი მის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის რწმუნების სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით. (საკდესი).

## შრომითი აღმავლობა ტყიბულჰესის მშენებლობაზე

თერჯოლა. (საქ. კორ.). [illegible] ტივი, რომელსაც ინჟინერი მ. ურუშაძე ხელმძღვანელობს. კვანძის მშენებლებმა ამოცანად დაისახეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად უზრუნველყონ მძლავრი ამწის ვადამდე დამონტაჟება და ამუშავება. მათთან ერთად მეხუთე სამშენებლო უბანზე მომუშავე გვირაბმშენებლებმა იკისრეს თებერვლის პირველ დეკადაში დაამთავრონ გვირაბის გამზადება საწნეო მილსადენის მონტაჟის დასაწყებად.

გვირაბმშენებელთა შორის იანვრის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა და დღიური წინსვლის ნორმას სისტემატურად ერთი მესამედით აჭარბებს გამოჩენილი გვირაბმშენებლის სტალინური პრემიის ლაურეატის ი. ობოლაძის ბრიგადა. კარგი მაჩვენებლები აქვთ გვირაბმშენებელთა იმ ბრიგადებსაც, რომლებსაც ვ. ჯანგველაძე, მ. სერდობინი, ი. ნოზაძე და ა. მკრტიჩიანი ხელმძღვანელობენ.

## კარგი დასაწყისი

სოხუმი. (საქ. კორ.). პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე.

გამართულად და კარგად დაიწყეს ახალი სამეურნეო წლის ამოცანების შესრულება ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ლიმონათისა და რძის ქარხნების და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

კარგად მომზადებული შეხვდნენ ახალი სამეურნეო წლის დაწყებას ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, რომლებმაც 1955 წლის დავალება 1 დეკემბრისათვის გაანაღდეს.

## ნოვატორი მბურღავის მიღწევა

ჭიათურა. (საქ. კორ.). თავდადებულად მუშაობს დიმიტროვის სახელობის მაღაროს ნოვატორი მბურღავი კ. ნადირაძე. მან მარგანეცის ღრმა ბურღვის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა და ახალ წარმატებებს აღწევს. კ. ნადირაძე პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას 200 და მეტი პროცენტით ასრულებს.

1955 წელს ამხ. ნადირაძემ 22 თვის გეგმა შეასრულა, ხოლო მეხუთე ხუთწლედის დაწყებიდან ცხრა წლის გეგმა გაანაღდა.

ამხ. კ. ნადირაძე საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატია.

## ტყიბულელ მეშახტეთა წარმატება

ტყიბული. [illegible] ტივი, რომელმაც დეკადური დავალება 101,7 პროცენტით შესრულა.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნა- [illegible] ში ამზადებენ ახალ საექსპლოატაციო ველს, რაც ამ შახტის კოლექტივს ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდების საშუალებას მისცემს.

## ვადამდე, მაღალხარისხოვნად

ქარელი. (საქ. კორ). ქარელის მტს-ის მექანიზატორებმა 1955 წელს წინა წელთან შედარებით გაადიდეს მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების, შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა, გადაჭარბებით შეასრულეს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და სილოსის დამზადების გეგმები, მთლიანად უზრუნველყვეს მეცხოველეობის განვითარების, წველადობის სახელმწიფო გეგმების შესრულება, საგაზაფხულო კულტურების დასათესავად მოხნეს 1.600 ჰექტარი მზრალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ჰექტარისა.

ულიანოვკის მტს-ის კოლექტივს წერილისა და ვორონეჟის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მიმართვის პასუხად მექანიზატორებმა იკისრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის წლიური გეგმა შეასრულონ 14 თებერვლისათვის, საგაზაფხულო კულტურების თესვა დაამთავრონ 20 აპრილისათვის, კვადრატულ-ბუდობრივად დათესონ 300 ჰექტარი სიმინდი, თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა აიყვანონ 350 ჰექტარამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარისა, დაზოგონ საწვავის 5 პროცენტი, 3.200 ჰექტარი თავთავიანი კულტურების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 13 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა, 200 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 15 ცენტნერი სიმინდი.

მესამე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. სულაშვილმა ვალდებულება იკისრა ვადამდე დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი, საგაზაფხულო თესვა ჩაატაროს 600 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა. მან შეჯიბრებაში გამოიწვია მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა.

## 1,5 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საქ. კორ.). ჩაება რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მახინჯაურის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (მეურნეობის დირექტორი დ. ტულუში) სასახელოდ გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 7.932 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც თითქმის 1,5 მილიონით სჭარბობს დავალებას.

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 42 ათასი ცალი ლიმონისა და 48 ათას ცალზე მეტი ფორთოხლის ნაყოფი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ პირველ და მეოთხე აგრორაიონებს, პირველ, მეორე, მეოთხე და სხვა ბრიგადებს, რომლებსაც მოწინავე მეციტრუსეები ტ. თოიძე, ე. კორძაძე, შ. პეშკოვი, ლ. სმირნოვა და სხვები ხელმძღვანელობენ.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი კარგად მოემზადა ციტრუსოვანთა გამოზამთრებისათვის.

## იზრდება მძიმე წონოსანთა რიგი

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). ქუთაისის საელმავლო დეპოს მოწინავე მემანქანეები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან. ისინი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმებს. შარშან მათ 610 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით 70 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს. ამით მათ სამშობლოს 35 ათასი მანეთის ეკონომია მისცეს.

მოწინავე მძიმეწონოსნების გამოცდილების განზოგადება-გავრცელებამ ხელი შეუწყო მათი რიგების ზრდას. გასულ წელს მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატთა რიცხვს შეემატნენ ახალგაზრდა მემანქანეები ა. ბექაია, მ. ჭყოიძე, მ. ჩუბინიძე.

## მეხილეობის [illegible]

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). [illegible] ნერგით ამარაგებს დასავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებს.

ხეხილის სანერგის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენერგიულად იბრძვის დავალებათა შესასრულებლად. სანერგემ გასულ წელს გამოიყვანა 245.157 ძირი სტანდარტული ნერგი, რომელთაგან 152.000 ძირი უკვე რეალიზებულია. გარდა ამისა, აქვთ ქარსაფარი ზოლის გასაშენებლად 942.000 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები.

აქ თვალსაჩინო მუშაობა მიმდინარეობს ახალი, გაუმჯობესებული ჯიშის ხეხილის ნერგების გამოსაყვანად. გასულ წელს დაამყნო 223.000 ძირი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 218 ათასი ძირისა. გარდა ხეხილისა, აქ დაამყნეს 153.000 ძირი ვაზი.

ხეხილის ნერგის გამოყვანის საქმეში თავი გამოიჩინეს მუშებმა შ. ნიკულინამ, რ. დონჩენსკაიამ, მ. კონდრაჩუკმა, ტ. ბოკუჩავამ, რ. სახოკიამ, ს. ხარაიშვილმა და ვ. წურწუმიამ. მოწინავე მუშები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს 150-160 პროცენტით ანაღდებენ.

## მეაგურეთა ახალი ვალდებულება

ხაშური. (საქ. კორ.). საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა 104,7 პროცენტით შეასრულა გასული წლის დავალება და 10 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

მეაგურეებმა კარგად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელიც. საყალიბე საამქრო, რომელსაც დ. ნიორაძე ხელმძღვანელობს, აგურის დაყალიბების ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს. გადაჭარბებით სრულდება წითელი აგურის გამოშვების დავალებებიც. ქარხნის მოწინავე მუშებმა ვ. ხაჩიძემ და დ. ხვედელიძემ 2 იანვარს საწარმოო დავალება 162 პროცენტით შეასრულეს და შემდეგ დღეებშიც ინარჩუნებენ ამ წარმატებებს.

ხაშურელი მეაგურეები, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობას იძლევიან, რომ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ ერთ მილიონ ცალ აგურს და გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას ხუთი პროცენტით.



ლ. ფალიანი.



მ. სეთურიძე.



ხ. თათევოსიანი.



ბ. დადვანი.



რ. ჯანაშვილი.



ნ. ქაჯაია.

## ნარჩინებულ მეცხოველეებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ საუკეთესო მწველავის“ საპატიო წოდება

1954-1955 სამეურნეო წელს ძროხის წველადობის მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სსრ საუკეთესო მწველავის“ საპატიო წოდება მიენიჭათ:

ა) **თვითეულ ჯიშიან ძროხაზე საშუალოდ 3.000 და მეტი კილოგრამი რძის მიღებისათვის:**

ნელი ისაკის ასულ **ქაჯაიას** და სოფიო გუკასის ასულ **თათევოსიანს** — გარეუბნის რაიონის სოფელ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა;

გიული იუსუფის ასულ **ვარშანიძეს** და ლუბა ანტონის ასულ **კოპინისენკოს** — ბათუმის რაიონის სოფელ ურეკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა;

მეჭფულე ქერემის ასულ **ბალაძეს** — ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა;

ხაჯერ ოსმანის ასულ **ბერიძეს** — ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა; ოლღა არტემის ასულ **გორელეცკაიას** — ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა;

ნინო გლახოს ასულ **სეთურიძეს** — დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობა;

ანასტას ნიკოლოზის-ძე **ფედოროვს** — გარეუბნის რაიონის სოფელ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა.

ბ) **ადგილობრივი ჯიშის თვითეულ ძროხაზე 1.500 და მეტი კილოგრამი რძის მიღებისათვის:**

მაშო ბუთლას ასულ **სეთურიძეს** და თამარ იოსების ასულ **ქუმსიშვილს** — დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობა;

ნუცა კარაბის ასულ **მარგიანს**, გოცია ნიკოლოზის ასულ **ხერგიანს** და ლელა ნიკოლოზის ასულ **ფალიანს** — მესტიის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა;

ბიჩა გერასიმეს ასულ **დადვანს** — მესტიის რაიონის სოფელ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა;

მაკჩე სარდიონის ასულ **ფარჯიანს** — მესტიის რაიონის სოფელ ლატალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა;

გიორგი იორდანის-ძე **გაბიტაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა;

სოსია გიგოს-ძე **მაძლარაშვილს** და ამფა **შამბათ-ოღლის** — წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა;

რომან ლეონის-ძე **ჯანაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.



ხ. მაძლარაშვილი.



გ. გაბიტაშვილი.



გ. ხერგიანი.



ნ. მარგიანი.



ა. შამბათ-ოღლი.



ა. ფედოროვი.



მ. ფარჯიანი.



ო. გორელეცკაია.



ლ. კოპინისენკო.



მ. ბალაძე.



გ. ვარშანიძე.



თ. ქუმსიშვილი.



ხ. ბერიძე.



ნ. სეთურიძე.

### პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# აღმოვფხვრათ ფორმალიზმი სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში

— ვინა გვყავს მოწინავე აგიტატორები? ახლავე მოგახსენებთ, — განაცხადა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს პარტბიუროს მდივანმა ა. ყაზარაშვილმა და ვრცელი სიის გულდასმით გადაკითხვის შემდეგ აგიტატორთა ჩამოთვლა უფროს ელექტრიკოს კომუნისტ ალექსი მატვეევის დასახელებით დაიწყო.

მაგრამ ამხ. მატვეევის მუშაობის გაცნობამ ცხადყო, რომ იგი საუბრებს რეგულარულად არ აწყობს, ხოლო როდესაც აწყობს, მაშინაც მათი შინაარსი არადამაკმაყოფილებელია. გასული წლის დეკემბერში კი ამხ. მატვეევს საუბარი სრულიად არ ჩაუტარებია.

პარტბიუროს მდივანი სუსტ აგიტატორად არც კომუნისტ გ. ხმალაძეს თვლის. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ გ. ხმალაძე ერთხანს მხოლოდ გაზეთის კითხვით კმაყოფილდებოდა, ხოლო უკანასკნელ 2-3 თვეს გაზეთს სისტემატურად თვითონაც აღარ კითხულობს. იგი ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში. მომზადების დაბალ დონეს ამჟღავნებს აგრეთვე კომკავშირელი აგიტატორი ნატალია სიდაკოვა. ხოლო აგიტატორ ვ. იოპენკოს მთელი წლის მანძილზე ერთი საუბარიც არ მოუწყვია, ან როგორ შეეძლო მოეწყო, როცა მან დეკემბრის ბოლოსაც არ იცოდა, რომ 1955 წლის დასაწყისში პარტბიურომ იგი აგიტატორად გამოჰყო.

საბრძმედე საამქროს ყველა 37 აგიტატორი გაერთიანებულია ერთ აგიტკოლექტივში. ამის გამო სხვადასხვა ცვლებში მომუშავე აგიტატორები სემინარის მეცადინეობას ხშირად ვერ ესწრებიან. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მეცადინეობა იშვიათად ეწყობა, 1955 წლის აპრილიდან დეკემბრამდე იგი ერთხელაც არ ჩატარებულა. ყოველივე ამის გამო საგიტაციო მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი, აგიტატორთა უმეტესობა არაფერს აკეთებს, ხოლო ღამის ცვლებში საუბრები სულაც არ ეწყობა.

საგიტაციო მუშაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ საბრძმედე საამქროში აგიტატორთა საუბრები ეწყობა ზერელედ, აბსტრაქტულად, საწარმოს პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტით. შარშან საამქრო გეგმის შესრულებაში ჩამორჩა და სამშობლოს ათასობით ტონა თუჯი დააკლო. საამქროს პარტბიურო და აგიტკოლექტივი არ ცდილან აგიტატორების მეშვეობით გაეჩაღებინათ მუშაობა მებრძმედეებთან, გამოემჟღავნებინათ ჩამორჩენის მიზეზები, გამოევლინებინათ შიდასაწარმოო რეზერვები და დაერაზმათ კოლექტივი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. აგიტატორები არ ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, მათ დღემდე არ განუმარტავთ მუშა-მოსამსახურეებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, არ აწყობენ საუბრებს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე.

საგიტაციო მუშაობა რომ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამაზე ლაპარაკობს შემდეგი ფაქტიც: დეკემბერში მებრძმედეებმა ღუმელის მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი საშუალოდ 0,83-ს გაუთანაბრეს, ცალკეულ დღეებში კი 0,75-საც აღწევდნენ. ამის მიუხედავად, საამქროში დღესაც რამდენიმე ადგილას გამოკრულია ლოზუნგები, რომლებიც მებრძმედეებს მოუწოდებენ ღუმელების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი 0,85-მდე დაიყვანონ.

აგიტატორთა ერთი ნაწილი მებრძმედეებს ესაუბრება წარმატებებზე, ხოლო არაფერს ეუბნება სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე. ასეთი ფაქტები კი საამქროში მცირე როდია. მაგალითად, საკოქსე საკეტის გაუმართაობის მიზეზით ხშირად ირღვევა ჩატვირთვის ტექნოლოგია. ბრძმედის ირგვლივ და მის საკვრძესთან მოუწყობელია განათება, რაც მებრძმედეებს ხელს უშლის ღუმელის მექანიკურ მოწყობილობათა შემოწმებაში. უდისციპლინობითა და მოუქნელი მუშაობით მებრძმედეებს დიდად აფერხებს ზეინკალთა ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. ზაგრება).

საბრძმედე საამქროს პარტბიუროს მუშაობის პრაქტიკაში შემოღებული არ არის აგიტატორთა ინფორმაციის მოსმენა, მოწინავე აგიტატორების გამოცდილების განზოგადება. მთელი წლის მანძილზე აგიტატორთა მუშაობის საკითხი პარტიულ კრებაზე მხოლოდ ერთხელ განიხილეს და ამასაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, რადგან კრების დადგენილება პარტბიურომ მაშინვე დაივიწყა და აგიტატორებისათვის კონკრეტული დახმარება არ გაუწევია.

საგიტაციო მუშაობისადმი კიდევ უფრო უდარდელ, შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენენ მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროში. მთელი წლის მანძილზე საამქროს პარტიულ ორგანიზაციას აგიტატორთა მუშაობის საკითხი ერთხელაც არ გაუხდია პარტიული კრების მსჯელობის საგნად. საამქროში სულ 15 აგიტატორი იყო გამოყოფილი, თუმცა იქ 1.200 მუშა-მოსამსახურე ირიცხება, რომელთა შორის 100-ზე მეტი კომუნისტია. მაგრამ აგიტატორთა ნაწილი უმოქმედობას იჩენს. აგიტატორ ქ. გომარელს აღრიცხვის რვეულში აღნიშნული აქვს, თითქოს გასულ წელს სხვადასხვა თემაზე რამდენიმე საუბარი მოეწყოს. ფაქტიურად ეს ჩანაწერები ყალბია, რადგან შარშან მას საგიტაციო საუბარი ერთხელაც არ ჩაუტარებია.

პოლიტიკური აგიტაცია დაბალ დონეზე დგას აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკურ, სამსხმელო, წყალმომარაგების, მარტენის ღუმელების შესაკეთებელ საამქროებში, თბოელექტროცენტრალსა და სხვა საწარმოებში.

შარშან მაისიდან ოქტომბრამდე ქარხანაში არ მოწყობილა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარის მეცადინეობა. არადამაკმაყოფილებლია აგიტატორთა სემინარების მეცადინეობაზე დასწრება. სემინარების მეცადინეობაზე მოხსენებებით არ გამოდიან პარტიის საქალაქო კომიტეტის, აგრეთვე ქარხნის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები. ეს ფუნქცია რატომღაც ძირითადად დაკისრებული აქვს ქარხნის პარტიული ბიბლიოთეკის გამგეს. გასულ წელს რუსთავში აგიტატორთა საქალაქო თათბირი მხოლოდ ორჯერ მოეწყო. ერთხელ გაიმართა აგიტატორების საქარხნო თათბირი, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

საწარმოო დავალებათა განხორციელების, მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანები პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტისაგან მოითხოვენ გააძლიერონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, სწრაფად აღმოფხვრან ფორმალიზმი ამ მნიშვნელოვან საქმეში, აამაღლონ პოლიტიკური აგიტაციის იდეური შინაარსი, გახადონ იგი მიზანდასახული და ქმედითი.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



ტყიბული. საბავშვო ბაღის ახალი შენობა. ფოტო შ. გოქაძისა.

★

### რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად

## მ შ რ ო მ ე ლ თ ა კ რ ე ბ ა ზ ე

თბილისის სტალინის რაიონის მშრომელები უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით აღნიშნავენ რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 50 წლისთავს.

რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმო-დაწესებულებებში კვალიფიციური პროპაგანდისტები და აგიტატორები მოუთხრობენ მშრომელებს რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, აწყობენ მუშა-მოსამსახურეთა მასობრივ ექსკურსიებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

ამ დღეებში მოეწყო სტალინის რაიონის მშრომელთა კრება, მიძღვნილი 1905-1907 წლების სახელოვანი იუბილესადმი. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ი. დევდარიანმა. მოსმენილ იქნა ლექტორების სვანიძის, მგალობლიშვილისა და ოდილაძის მოხსენებები 1905-1907 წლების რევოლუციისა და დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

კრების მონაწილენი განსაკუთრებული ყურადღებით და გულთბილად შეხვდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეთა გამოსვლებს. მეტად საინტერესო იყო ძველი ბოლშევიკის გ. თ. სტურუას მოგონება. მან დამსწრეებს უამბო, თუ როგორ მუშაობდა მოსკოვის სტამბაში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში.

ასეთივე საინტერესო იყო ძველი ბოლშევიკების ი. მ. ჭოლოკავას და გ. ვ. მონტინის მოგონებანი.

**ვ. ბობოხიძე.**

## გ ა მ ს ვ ლ ე ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ე ს ი ა

მახარაძე. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ქალაქ მახარაძეში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად სესიას ესწრებოდნენ 1905 წლის რევოლუციის უშუალო მონაწილენი როგორც მახარაძის, ისე ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებიდან.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. მელიქიშვილმა. გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ხაჭაპურიძე.

1905-1907 წლების რევოლუციის სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნ. მახარაძემ, ნ. სტურუამ, მ. ცერცვაძემ, ა. სურგულაძემ, ე. ხუციშვილმა, გ. ჯამბურიამ.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ჩოხატაურის გლეხთა მოძრაობის შესახებ მოგონებით გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ცინცაძე. მოგონებებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი სოფელ ფარცხმის კოლმეურნეობის წევრი კ. ცინცაძე, სოფელ სილაურის კოლმეურნეობის წევრი ქ. გოგუაძე, სოფელ ლაშის კოლმეურნეობის წევრი დ. წილოსანი და სხვები.

## სემინარი სამშენებლო საკითხებზე

იმ მიზნით, რომ ინჟინერ-ტექნიკოსთა ფართო წრეებს გააღრმავებინოთ სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების ახალი მეთოდის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და იძლევა მასალების ეკონომიას, სსრ კავშირის სამშენებლო წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობა ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობაში ატარებს სპეციალურ სემინარს.

სემინარში გაერთიანებულია 250-ზე მეტი სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ თბილისისა და რუსთავის სამშენებლო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებში. ისინი გაივლიან 50-საათიან პროგრამას. იმუშავებს 5 ჯგუფი. მეცადინეობის ჩასატარებლად მოწვეული არიან წამყვანი მეცნიერი მუშაკები და წარმოების სპეციალისტები.

10 იანვარს მოეწყო სემინარის პირველი მეცადინეობა. ჯგუფების გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ქ. ზავრიევმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება საანგარიშო ზღვრული მდგომარეობის მიხედვით". შემდეგ მეცადინეობაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. იაკუბოვიჩი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. ქარცივაძე, ინჟინერი მ. წულეისკირი სხვადასხვა ჯგუფებში წაიკითხავენ ლექციას თემაზე „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშება".

სტალინური პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ღოღობერიძე ჩაატარებს მეცადინეობას თემაზე — „ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციების გაანგარიშება", ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები დოცენტი დ. დოლიძე, ი. ბერიშვილი, მ. კანდელაკი, ინჟინერი ვ. ჩხეიძე და სხვები — „ხის კონსტრუქციების გაანგარიშება", ინჟინერი გ. ნინუა — „შენობებისა და ნაგებობათა ბუნებრივი ფუძეების გაანგარიშება" და სხვ.

განზრახულია ასეთივე სემინარები მოეწყოს ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში. აღნიშნულ საკითხებზე ლექციები მოეწყობა აგრეთვე ქალაქ რუსთავში.

## მევაგონეთა წარმატება

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის სავაგონო დეპოს კოლექტივი წარმატებით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს. იგი უზრუნველყოფს ყველა სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

დეპოს კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ 10 ნოემბრისათვის შეასრულა, ხოლო 1955 წლის გეგმა — 6 დეკემბრისათვის. მევაგონეებმა სახელმწიფოს მისცეს 33 ათასი მანეთის ეკონომია. სამტრედიის სავაგონო უბნის კოლექტივებს შორის ფოთელმა მევაგონეებმა გასული თვეების საწარმოო მაჩვენებლებით პირველი ადგილი დაიკავეს და მოიპოვეს სამტრედიის უბნის გარდამავალი წითელი დროშა.

# ახალგაზრდობის აღზრდა—ყურადღების ცენტრში!

### ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შედეგებს მიეძღვნა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებაზე მოხსენება რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრმა დ. ლორთქიფანიძემ.

ორჯონიკიძის რაიონში არის 16 საშუალო და რვაწლიანი სკოლა, სადაც 15.870 მოსწავლეა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. სკოლები მთლიანად დაკომპლექტებულია პედაგოგიური კადრებით, გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები პოლიტექნიკური სწავლების განსახორციელებლად.

ამასთან აქტივის კრებამ აღნიშნა, რომ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე, რაც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ცოტა როდია სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში განთესილია 114 მოსწავლე.

მთელ რიგ სკოლებში სუსტად არის დაყენებული მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება, დაბალია გაკვეთილების იდეურ-თეორიული და მეთოდური დონე, ნაკლებად ხდება სწავლების თეორიული საკითხების დაკავშირება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გასული სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასში დატოვებულ იქნა 930 მოსწავლე, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში აკადემიურად ჩამორჩებოდა 3.040 მოსწავლე. 54-ე, 57-ე, მე-60, 62-ე, 64-ე და სხვა სკოლებში დაბალ დონეზე დგას რუსული ენის, საბუნებისმეტყველო-მათემატიკური საგნების სწავლება.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არასაკმაოდ უწევენ კონტროლს მასწავლებელთა საქმიანობას, სათანადოდ არ ეხმარებიან მათ პედაგოგიური ოსტატობის დაუფლებაში. მასწავლებელთა ნაწილი სუსტად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური კულტურის ასამაღლებლად, ცუდად ემზადება გაკვეთილებისათვის.

კრებამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ რაიონის სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია, რის შედეგად მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი არღვევს სასკოლო და საზოგადოებრივ დისციპლინას, უხეშობს უფროსებთან, სჩადის ხულიგნურ საქციელს. ზოგიერთი სკოლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ზრუნავენ მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

როგორც მოხსენებიდან და მოკამათეთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რაიონის სკოლებს მუშაობა ჯერაც არ გარდაუქმნიათ ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად. მეტი წილი სკოლები მოუმზადებლად შეხვდნენ პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლას. 58-ე, მე-60, 57-ე, 50-ე და 63-ე სკოლებს არა აქვთ სასწავლო სახელოსნოები და სამუშაო ოთახები, შექმნილი არ არის სათანადო პირობები მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში პრაქტიკუმების ჩასატარებლად. ბევრ სკოლას არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, რაც სერიოზულად აფერხებს სოფლის მეურნეობაში პრაქტიკუმის მოწყობას.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საშეფო ორგანიზაციები: საქჰიდროენერგომშენის ტრესტი, აბრეშუმსაქსოვი და ავეჯის ფაბრიკები, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან სკოლებს. როგორც 51-ე სკოლის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. დ. ვადაჭკორიამ თქვა, შეფს — საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მესამე სამმართველოს არავითარი დახმარება არ გაუწევია სკოლისათვის. სამმართველოს მუშაკებმა სკოლის წარმომადგენლებს განუცხადეს, უმჯობესია იზრუნოთ და შეფი გამოიცვალოთო.

კომკავშირის რაიკომის მდივნის გ. მეტრეველის გამოსვლიდან ცხადი გახდა, რომ მთელი რიგი სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ხოლო კომკავშირის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს მათ. არის შემთხვევები, როცა ცალკეული სკოლების ხელმძღვანელები პატივს არა სცემენ კომკავშირული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს. მაგალითად, გასული წლის ივნისში კომკავშირის რაიკომის ბიურომ ალკკ რიგებიდან გარიცხა 55-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები თ. არშბა და გ. გიორგობიანი, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში შეიჭრნენ 57-ე სკოლის შენობაში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დირექტორის მოადგილეს სამნეო ნაწილში, სკოლის დარაჯს და მის მეუღლეს. მიუხედავად ამისა, არშბას ყოფაქცევაში 5 დაუტოვეს და ვერცხლის მედალიც კი მისცეს.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, — ამბობს განათლების რაიონული განყოფილების გამგე ნ. მჭედლიშვილი, — მნიშვნელოვანწილად შეეხება ჩვენს რაიონსაც. განათლების განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა სკოლების ინსპექტირების სათანადო სიმაღლეზე დაყენება, ყურადღებას არ ვაქცევთ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას, მეთოდურ მუშაობას.

ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ, არ ინტერესდებიან, თუ როგორ მუშაობენ მათ მიერ გამოშვებული სპეციალისტები სკოლებში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვ. კუპრაძემ ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წინაშე სკოლებისათვის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

55-ე სკოლის დირექტორმა ი. სურგულაძემ, ამავე სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. აფხაიძემ და სხვებმა ილაპარაკეს სკოლასა და ოჯახს შორის კავშირის განმტკიცებაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში მშობელთა კომიტეტების როლის ამაღლებაზე. აღინიშნა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პედაგოგიური პროპაგანდა მშობლებთან, ხშირად მოეწყოს მათთვის ლექციები და საუბრები.

აქტივის კრებაზე ითქვა, რომ ბევრი სასკოლო პარტიული ორგანიზაცია ღრმად არ სწვდება სასკოლო მუშაობის ყველა უბანს, ვერ ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლებისათვის. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სკოლებს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე 50-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ხრჟანოვსკი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ფრანგიშვილი, 62-ე სკოლის დირექტორი გ. ონიანი, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანი ნ. გოგლიძე.

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

**ს. არღუნელი.**

| მზადება საგაზაფხულო თესვისათვის |

# ამთავითვე ვიზრუნოთ მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის

სიღნაღის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები და მტს-ები კარგად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. ულიანოვკის მტს-ი, რომელიც რესპუბლიკის მტს-ებს შორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა, ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. ახლა აქ სავსებით მზად აქვთ 41 ტრაქტორი, 52 სათესი, 20 კულტივატორი. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს დანარჩენი ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი.

ულიანოვკელ მექანიზატორთა წარმატება შემთხვევითი როდია. იგი მოპოვებულია მოწინავე მეთოდის — კვანძური მეთოდის დანერგვის, რემონტზე მექანიზატორთა ნაყოფიერი მუშაობისა და სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად.

ულიანოვკელ მექანიზატორებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წელს სიმინდის მთელი ფართობი დათესონ მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად. ამ მიზნით მტს-ში მოეწყო პროგრესული წესით თესვის შემსწავლელი წრეები, სადაც მექანიზატორებთან ერთად კოლმეურნე მთესველებიც ოსტატდებიან; მტს-ის მუშაკებს აჩვენებენ დოკუმენტალურ კინოფილმებს კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე, ეწყობა კონსულტაციები, ლექციები.

მტს-ის ზონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც 30-ათასელი ი. ბეჟაშვილი ხელმძღვანელობს, დროულად მოიმარაგა და სათეს კონდიციამდე აიყვანა ყველა კულტურის სათესლე მასალა, წესრიგზე მოიყვანა სატრანსპორტო საშუალებანი, ზიგზაგები, ფარცხები, ნიადაგში შეიტანა 300 ტონა ნაკელი. ბოდბელმა კოლმეურნეებმა 700 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოხნეს 1.000 ჰექტარი. წელს აქ 600 ჰექტარზე დათესავენ სიმინდს.

მაგრამ ულიანოვკის მტს-ის ზონაში არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც. ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის, ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებს და ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს" არ შეუსრულებიათ მზრალად ხვნის გეგმები. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" (თავმჯდომარე ი. სიმონიშვილი) გამგეობის სხდომაზე აქამდე არ განუხილავთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი. 30 ზიგზაგიდან აქ შეკეთებულია მხოლოდ 20. ჩამორჩება სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანის სამუშაოები და მინდვრად ნაკელის გატანა.

იმის გამო, რომ ალაზნისა და წნორის მტს-ების დირექციებმა, ალაზნის სასისტემო სამმართველომ დროზე არ მიიღეს ზომები საწრეტი არხების გასაყვანად, წინამხრის კოლმეურნეობათა მზრალად ნახნავი ფართობები დაჭაობდა. სასისტემო სამმართველომ უყურადღებოდ მიატოვა აგრეთვე ივრის სარწყავი ქსელი.

თვითდინებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ალაზნის მტს-ში. მართალია, აქ შეასრულეს ტრაქტორებისა და იარაღ-მანქანების რემონტის 1955 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა, მაგრამ მოსალოდნელია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რემონტის დავალების შესრულებას საფრთხე ემუქრება მთელი რიგი ხელშემშლელი პირობების გამო. რემონტი აქ ძველი — ბრიგადული წესით წარმოებს. მტს-ის საბჭოს და პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არ უმსჯელიათ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხზე.

მტს-ში ჩვეულებრივი სათესების კვადრატულ-ბუდობრივად სათეს მანქანებად გადაკეთების მიზნით მიიღეს დეტალების სრული კომპლექტები, მაგრამ დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ, გულდამშვიდებით აცხადებენ, რეკონსტრუქცია ადვილია, თესვის დღეებშიც შეიძლება შევასრულოთო. არ ითვალისწინებენ გასული წლების მწარე გაკვეთილს, როცა სიმინდის პროგრესული მეთოდით თესვა დაბალხარისხოვნად შესრულეს კვალიფიციური კადრების უყოლობის გამო და ახლაც არ ზრუნავენ მათი მომზადებისათვის.

მტს-ს დღემდე კიდევ შემოსაზიდი აქვს 31 ტონა საწვავი. ამაში ბრალი მიუძღვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც, რომელმაც მტს-ს საწვავის ლიმიტი მხოლოდ გასული წლის 30 დეკემბერს მისცა.

რაიონში თავის დროზე საჭირო ზომები არ მიუღიათ ვარგისი სათესლე მასალის მომარაგებისათვის, რის შედეგად ბევრი კოლმეურნეობის სათესლე მასალა უკონდიციო აღმოჩნდა. მაგალითად, ლაბორატორიამ შეამოწმა საგაზაფხულო ქერის 1.600 ცენტნერი თესლი, საიდანაც კონდიციურია 1.070 ცენტნერი. 1.730 ცენტნერი შვრიიდან კი მხოლოდ 970 ცენტნერია კონდიციური. გაუწმენდავია მზესუმზირას, ლობიოს, ესპარცეტის და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესლი. ალაზნის მტს-ის ზონის მაჩხაანის და ძველი ანაგის კოლმეურნეობებში ჯერაც არ მოუმარაგებიათ ფეტვის, ესპარცეტისა და სუდანური ბალახის თესლი. შეუწყნარებელია ისიც, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესლს შეუკეთებელ საწყობებსა და ფარდულებში ინახავენ.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. ეს გარემოება სიღნაღის რაიონის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ავალებთ საჭირო დასკვნები გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან, ყოველმხრივ მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის.

რეიდის მონაწილენი: **ი. ძანაშვილი** — სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ი. ქებურია** — წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი; **ქ. ლაშქარაშვილი** — თესლის ხარისხის საკონტროლო ლაბორატორიის გამგე; **ი. ბალიაშვილი**—სიღნაღის რაიგაზეთ „კოლმეურნის" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე; **ზ. ხეჩუაშვილი** — გაზეთ „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მეტი ყურადღება პირუტყვის გამოზამთრებას

[illegible]

სოფელ ვაკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მოწინავე იყოს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ მეცხოველეობაში წინა წლებში მოპოვებული მაჩვენებლებიც ვერ შეინარჩუნა. გასული სამეურნეო წლის წველადობის დონე 1953-1954 სამეურნეო წლის დონეზე 177 ლიტრით დაბალი იყო. კოლმეურნეობაში არც ახლაა სახარბიელო მდგომარეობა, წველადობა [illegible]

[illegible] ქოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, როგორც ჩანს, ყველა საჭირო დასკვნა ვერ გააკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, რის გამოც კოლმეურნეობებს ზამთარმა მოუმზადებელთ მოუსწრო და პირუტყვის წველადობა საგრძნობლად შემცირდა.

**რ. დავითური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# კინონარკვევი მამაც ალპინისტებზე





[illegible] კის მუშაკები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ექსპედიციის მუშაობაში. მათ შეძლეს რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფილმისათვის გადაეღოთ კადრები, რომლებშიც ასახულია ჩვენი მთასვლელების გმირობა და სიმამაცე, მათი შეუპოვარი ბრძოლა ბუნების სტიქიასთან.

რამდენიმე ათასი კილომეტრი გაიარეს ქართველმა მთასვლელებმა, სანამ ობისინგოუს ულამაზეს ხეობაში მოხვდებოდნენ. აქედან იწყება მშვენიერი ტყეები. ეკრანზე ხშირად მოჩანს მქუხარე ჩანჩქერები.

ბევრი დაბრკოლება ელობებოდათ წინ მამაც ალპინისტებს. აგერ, წყალუხვი და სწრაფი მდინარე ყირგიზობი ელვის სისწრაფით მოექანება მთებიდან და თან მოაქვს ყინულის ნამსხვრევები. ექსპედიციის წევრებმა სახელდახელოდ გაკეთებული საბაგირო გზით გადალახეს მდინარე... კვლავ უგზოობა, გაუვალი ტყეები.

მთასვლელებმა ღარმოს ყინვარის ძირში გამართეს ბანაკი. ქართველი ალპინისტები რადიოთი დაუკავშირდნენ პამირის მწვერვალების დასაპყრობად წამოსულ მოსკოველ მთასვლელთა აბალაკოვის ჯგუფს.

განთიადისას კვლავ განაგრძეს გზა. აქედან უკვე მამაცთა მეტი ვერავინ გაივლის მიუვალი მთების ციცაბო ბილიკებზე. ეკრანზე მოჩანს უფსკრულები, რომელთა თავზე გაბედულად მიაბიჯებენ ქართველი ვაჟკაცები.

აგერ, ფიქალი ქვებით აშენებული კოშკურა. ქვებზე ამოკვეთილია 1953 წელს ამ რაიონში დაღუპული 5 მთასვლელის გვარი. ქართველი ალპინისტები დაღუპულ მთასვლელთა ხსოვნის პატივსაცემად ქუდმოხდილნი მდუმარედ დგანან კოშკურის წინ.

გამარჯვების რწმენით მიიკვლევენ გზას მთასვლელები. აღარსად ჩანს მიწის ნასახიცკი. მარადიული თოვლისა და ყინულის საბურველი ფარავს პამირის მთებს. ალპინისტები გადადიან საზღვარს, რომლის იქით დღემდე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

აი, თოვლიან ველზე დაბანაკდა ალპინისტთა ჯგუფი. ამიერიდან ამ ადგილს, პირველ მთასვლელთა უფლებით, „ქართველთა ნაბინავარი" ეწოდება.

ექსპედიციის უფროსი ო. გიგინეიშვილი ალპინისტებთან განიხილავს შემდგომი მოქმედების გეგმას. გადაწყდა, რომ დიმიტრი ობოლაძესა და ალექსი ივანიშვილთან ერთად მაქსიმე გვარლიანი წაიყვანს მოიერიშე ჯგუფს, ხოლო გოჯი ზურებიანი მაშველ ჯგუფს.

მაყურებლის თვალწინ იშლება ბუნების საოცრება. შორს მოჩანს პამირის მთების დიადი პანორამა. ამაყად დგანან ჭაღარამოსილი ცადაწვდილი გოლიათები. 15 აგვისტოს დილით იწყება იერიში. ყინულოვან მთის ციცაბო კედლებზე ადიან ალპინისტები მ. გვარლიანი, მ. ხერგიანი, ი. კახიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, ს. გუგავა, ჯ. გუგავა, ზ. ახვლედიანი, დ. ობოლაძე. მამაცი მთასვლელები შეუპოვრად მიიწევენ წინ. 18 აგვისტოს ადამიანმა პირველად შედგა ფეხი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე — მოლოტოვის პიკზე, რომლის სიმაღლე 6.853 მეტრია ზღვის დონიდან. 19 აგვისტოს დაპყრობილი იქნა „პრავდის" სახელობის მწვერვალი (6.400 მეტრი ზღვის დონიდან).

მთასვლელთა მოიერიშე ჯგუფი გზას განაგრძობს სტალინის პიკისაკენ. მიდიან მამაცი ალპინისტები მიხეილ ხერგიანი, იოსებ კახიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან ახვლედიანი. დაბლა მზად არის დამხმარე ჯგუფი, სათვალთვალო პუნქტიდან თვალს ადევნებენ მამაც მთასვლელებს.

წინ, მხოლოდ წინ. ალპინისტები უახლოვდებიან მწვერვალს. რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა. მაგრამ მუხლი აღარ ემორჩილება ადამიანს, არ ჰყოფნის ჰაერი. უკანასკნელი ძალღონის მოკრეფა, და ისინი უკვე მწვერვალზე არიან... ეკრანზე გამოჩნდება წარწერა „7.495 მეტრი".

მწვერვალი მიღწეულია. შესრულებულია ასვლა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე — სტალინის პიკზე, სრულიად ახალი, მანამდე უცნობი გზით, ღარმოს ყინვარის მხრიდან.

კინონარკვევი „პამირის მწვერვალების დაპყრობა" წარმტაცად მოგვითხრობს ქართველი ალპინისტების ამ სახელოვან გამარჯვებაზე.

**ნ. შველიძე.**

• • •

სურათზე: კადრები კინონარკვევიდან „პამირის მწვერვალების დაპყრობა".

# პასუხი შეკითხვაზე
# ბაღდადის პაქტი

1954 წლის 2 აპრილს შეკითხვა მ. ჩალაბაშვილისა (თბილისი) [illegible]

პაკისტანის დედაქალაქ კარაჩიში თურქეთსა და პაკისტანს შორის ხელმოწერილ იქნა სამხედრო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლი ითვალისწინებს ორივე ქვეყანას შორის აქტიურ სამხედრო თანამშრომლობას, ტექნიკის განვითარებისა და შეიარაღების გაზრდის საქმეში ინფორმაციის გაცვლას და ომის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუად ქეფრულუმ თურქეთ-პაკისტანის ამ პაქტს უწოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში მომავალი „თავდაცვითი" გაერთიანების მთელი „სისტემის ჩანასახი".

ამერიკის პრესა პირდაპირ მიუთითებდა, რომ თურქეთ-პაკისტანის პაქტი შეტევითს ხასიათს ატარებდა და რომ ამ პაქტის საფუძველზე უნდა შექმნილიყო სამხედრო კავშირების სისტემა „საბჭოთა კავშირის საზღვრების გაყოლებით". დალესი მიესალმა ამ პაქტის შექმნას და აღნიშნა, რომ იგი გაფართოებული იქნებოდა მასში შუა აღმოსავლეთის ქვეყნების შესვლის შედეგად. ეს რაიონი, ამბობდა დალესი, „დიდმნიშვნელოვანია როგორც ადამიანთა რეზერვების, ისე ეკონომიკისა და სტრატეგიის თვალსაზრისით".

თურქეთ-პაკისტანის პაქტის ხელმოწერას წინ უსწრებდა ამერიკა-პაკისტანის შეთანხმება, რომლის თანახმად ამერიკამ აღუთქვა პაკისტანს სამხედრო დახმარება. სამაგიეროდ ამერიკამ მიიღო პაკისტანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების აგების უფლება და პაკისტანის არმია დაემორჩილა ამერიკის კონტროლს.

1954 წლის 8 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შეიქმნა ახალი სამხედრო აგრესიული დაჯგუფება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — სეატო, რომელშიც შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ფილიპინები, ტაილანდი.

თურქეთ-პაკისტანის სამხედრო პაქტის შექმნის მომენტიდან დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიალისტური წრეები ცდილობდნენ ჩაებათ ამ პაქტში ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები და ამრიგად განეხორციელებინათ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შექმნის ვაშინგტონის გეგმა.

როცა თავდაპირველად „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შექმნის გეგმამ მარცხი განიცადა, დასავლეთის იმპერიალისტურმა წრეებმა დაიწყეს ამ რაიონის სამხედრო დაჯგუფებაში სახელმწიფოების ცალცალკე ჩაბმა, ე. ი., როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავდა, ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო დაჯგუფების შექმნა „იარუსების" მიხედვით. „ჩრდილოეთ იარუსს" მათ მიაკუთვნეს ის სახელმწიფოები, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან სსრ კავშირს, — თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ერაყი. ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ზემოხსენებული თურქეთ-პაკისტანის სამხედრო პაქტის შექმნა. ამ პაქტში შეყვანილ იქნა ორი ისეთი ქვეყანა, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

ანკარა-კარაჩის ღერძის შექმნის შემდეგ დასავლეთის იმპერიალისტურმა წრეებმა ზეგავლენა მოახდინეს ერაყის პრემიერ-მინისტრზე ნური საიდზე, რომელმაც მიიღო სამხედრო „დახმარება" ამერიკისაგან და მისივე რჩევით ხელი მოაწერა სამხედრო პაქტს თურქეთთან.

ამრიგად, 1955 წლის 24 თებერვალს ბაღდადში (ერაყის დედაქალაქი) ხელმოწერილ იქნა თურქეთ-ერაყის სამხედრო პაქტი, რომელსაც ბაღდადის პაქტს უწოდებენ. ინგლისის პრესა თურქეთ-ერაყის სამხედრო პაქტის შექმნას ახასიათებდა როგორც ამერიკა-ინგლისის პოლიტიკის ნაბიჯს შუა აღმოსავლეთში ნატო-ს ერთ-ერთი ფილიალის შექმნის საქმეში. გაზეთი „ობსერვერი" წერდა, რომ „ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მსგავსად შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაციის საფუძველს".

თურქეთ-ერაყის პაქტის პირველი მუხლი ითვალისწინებს „თავდაცვის მიზნით" ორივე ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობას და სპეციალური შეთანხმების დადებას. მე-2 მუხლში ლაპარაკია ორივე ქვეყნის „კომპეტენტურ წარმომადგენელთა მიერ" სამხედრო თანამშრომლობის ღონისძიებათა განსაზღვრაზე. მე-5 მუხლის თანახმად „ხელშეკრულება ღიაა არაბეთის ქვეყნების ლიგის წევრი ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოების შესასვლელად...". მე-6 მუხლში ნათქვამია: „როგორც კი ოთხი სახელმწიფო გახდება ამ ხელშეკრულების მონაწილე, შეიქმნება მუდმივი საბჭო მინისტრების შემადგენლობით, რომელიც იმოქმედებს ამ ხელშეკრულების ჩარჩოებში". ბაღდადის პაქტი ხელმოწერილ იქნა ხუთი წლის ვადით, ყოველ ხუთ წელში განახლების უფლებით.

თურქეთ-ერაყის პაქტის დადება დაგმო არაბეთის ქვეყნების და მათ შორის ერაყის მოსახლეობამ. ჯერ კიდევ პაქტის ხელმოწერამდე სამხედრო დაჯგუფებათა წინააღმდეგ ხალხის მასების მოძრაობით შეშინებულმა ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური საიდმა საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა პოლიცია და ჯარის ნაწილები. მიუხედავად ამისა, პაქტის ხელმოწერის დღეს პოლიციისა და ჯარის ნაწილები შეეჯახნენ მოსახლეობას, რასაც მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან. ტერორმა და რეპრესიებმა ვერ შეაჩერა პატრიოტული მოძრაობა სამხედრო პაქტის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა ახლაც გრძელდება. ერაყის მიერ თურქეთთან სამხედრო პაქტზე ხელის მოწერა ეწინააღმდეგება არაბეთის ქვეყნების ლიგის წესდებას. ერაყის ასეთი ნაბიჯი არაბეთის ქვეყნების ინტერესების ღალატია.

ერაყში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით 1955 წლის 4 აპრილს ინგლისი შეუერთდა თურქეთ-ერაყის პაქტს, რათა ამით შეეცვალა ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულება, რომელსაც მალე გაუდის ვადა. 23 სექტემბერს ბაღდადის პაქტს შეუერთდა პაკისტანი.

გაძლიერდა დასავლეთის იმპერიალისტური წრეების ზეგავლენა ირანზე ბაღდადის პაქტში მისი შეყვანის მიზნით. ირანის მთავრობა პრინციპულად შუა აღმოსავლეთის სამხედრო დაჯგუფების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ამ ჯგუფში შესვლის საქმეში მას ხელს უშლიდა მთელი რიგი ამბები: ირანის ტრადიციული ნეიტრალიტეტი, ირანის ხალხის მისწრაფება მშვიდობისაკენ, მისი ბრძოლა სამხედრო აგრესიულ დაჯგუფებებში ირანის მონაწილეობის წინააღმდეგ და ირანის საერთაშორისო ვალდებულებები, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინაშე.

ირანის მთავრობაზე ზეგავლენა გრძელდებოდა. ირანში ჩადიოდნენ დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტების წარმომადგენლები. ასე მაგალითად, თეირანში „მეგობრული ვიზიტით" ჩა-

[illegible] ირან-თურქეთის [illegible] ობიექტი იყო ირანის მონაწილეობა შუა აღმოსავლეთის სამხედრო დაჯგუფებაში. 1955 წლის 24 ოქტომბერს ირანის შაჰმა ხელი მოაწერა ამ საკითხზე მეჯლისისა და სენატის მიერ მიღებულ კანონს. ირანი ბაღდადის პაქტის წევრი გახდა.

ასე შეიქმნა შუა აღმოსავლეთის სამხედრო აგრესიული დაჯგუფება, რომელსაც შემოკლებით ეწოდება „მედო" („შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაცია"). ცხადია, რომ ბაღდადის პაქტი წარმოადგენს არა თავდაცვითს ორგანიზაციას, არამედ აგრესიულს, რომელიც ემორჩილება ნატოს და აკავშირებს ნატო-სა და სეატო-ს.

ბაღდადის პაქტი რომ აგრესიული გაერთიანებაა, ეს ცხადყო თუნდაც ამ პაქტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა პირველმა თათბირმა ბაღდადში, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთის, ერაყის, პაკისტანის და ირანის პრემიერ-მინისტრები, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების მეთვალყურე. ეს თათბირი მოწვეულ იქნა ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის დამთავრების თითქმის მეორე დღეს. ამით ბაღდადის თათბირის მონაწილეებმა ცხადყვეს, რომ ნაკლებად ფიქრობდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე და „ჟენევის სულისკვეთებაზე".

ბაღდადის თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ბაღდადის პაქტის სამხედრო გეგმა, რათა, როგორც გაზეთი „ტაიმსი ოფ კარაჩი" წერდა, ბაღდადის პაქტისათვის „ჩაესვათ ნამდვილი კბილები".

ამერიკის შეერთებული შტატები ჯერჯერობით ოფიციალურად არ შესულან ბაღდადის გაერთიანებაში. მაგრამ ისინი იარაღს მიაწვდიან გაერთიანების წევრ ქვეყნებს და უზრუნველყოფენ მათ ტექნიკური სწავლებითა და ექსპერტებით. ბაღდადის პაქტის მონაწილე სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარებულია მუდმივი კავშირი პოლიტიკურ და სამხედრო დარგში „მედოსთან" ამერიკის მუდმივი წარმომადგენლის საშუალებით. ინგლისი ერაყს გაუწევს ტექნიკურ დახმარებას სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნაში.

თათბირზე თავი იჩინა წინააღმდეგობამ მის მონაწილე ქვეყნებს შორის, კერძოდ ინგლისსა და თურქეთს შორის. მათ შორის ბრძოლა იყო ბაღდადის დაჯგუფებაში პირველობისათვის. თურქეთის წარმომადგენელმა, რომლის ზურგს უკან ამერიკა დგას, მოითხოვა, რომ თათბირზე მსჯელობის მთავარი საგანი ყოფილიყო სამხედრო შეიარაღების საკითხი და ბრძოლა ნეიტრალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ახლო და შუა აღმოსავლეთში. ინგლისს კი უნდოდა, რომ განეხილათ თათბირის მონაწილე ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის საკითხი, რათა ამ ეკონომიურ ურთიერთობაში შემდგომში ჩაებათ ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები, რაც გახდებოდა აუცილებელი წანამძღვარი ყველა ამ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობისათვის. ინგლისს უნდოდა ამ შემთხვევაში ესარგებლნა მომენტით და განემტკიცებინა თავისი შერყეული ეკონომიური მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ბაღდადის პაქტის შექმნამ გაამწვავა წინააღმდეგობა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს შორისაც. მაგალითად, ირანის შესვლას ამ გაერთიანებაში აღფრთოვანებით შეხვდნენ ლონდონში და ვაშინგტონში. მაგრამ სხვანაირად შეხვდნენ მას საფრანგეთის ოფიციალური წრეები. პარიზში შეუძლებელი იყო ამ საკითხს არ გამოეწვია გამოხმაურება, მით უფრო, რომ საფრანგეთმა ინგლის-ამერიკასთან ერთად 1950 წელს ხელი მოაწერა სამთა დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს სამივე სახელმწიფოს შეთანხმებულ მოქმედებას ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ბაღდადის პაქტის შესახებ საფრანგეთში მხოლოდ გაზეთებიდან გაიგეს; ასეთივე სიურპრიზი იყო საფრანგეთისათვის ირანის შესვლა ამ პაქტში.

საფრანგეთის ოფიციალურ წრეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პროტესტი ინგლისისა და ამერიკის მთავრობების მიმართ იმის გამო, რომ ისინი არაფერს არ უთანხმებენ საფრანგეთს ახლო და შუა აღმოსავლეთში მოქმედების დროს. „ერთი მხრივ ფრანგების შეხედულებასა და მეორე მხრივ ინგლისელებისა და ამერიკელების შეხედულებას შორის, — წერს ინგლისური „ტაიმსი", — არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკის შესახებ". საფრანგეთის მმართველი წრეები უკმაყოფილო არიან იმიტომ, რომ ინგლისი და ამერიკა არაფრად აგდებენ მის ინტერესებს ამ რაიონში.

წინააღმდეგობაა ინგლისსა და ამერიკას შორისაც. ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის პრეტენზიებსაც უგულებელყოფენ. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი აგენტი—თურქეთი პრეტენზიას აცხადებს შუა აღმოსავლეთის დაჯგუფებაში ხელმძღვანელ როლზე, ხოლო თურქეთის რევანშისტული წრეები უკვე ლაპარაკობენ სირიის ალაბის (ალეპო), ერაყის მოსულის ნავთობის რაიონის და სხვა ტერიტორიების ხელში ჩაგდებაზე, რაც, ცხადია, ლონდონში აღფრთოვანებას როდი იწვევს.

ბაღდადის სამხედრო-აგრესიული დაჯგუფება მიმართულია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ამ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მისი მიზანია ამ რაიონში დასავლეთის იმპერიალიზმის ბატონობის განმტკიცება. ბაღდადის პაქტის შექმნით ინგლისმა და ამერიკამ ამ ქვეყნებზე ზეგავლენის ახალი საშუალება მიიღეს. ამიტომაც ამ სამხედრო დაჯგუფების შექმნა აღშფოთებას იწვევს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებში.

არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხები გმობენ შუა აღმოსავლეთის სამხედრო დაჯგუფების შექმნას, უარს ამბობენ ამ დაჯგუფებაში შესვლაზე. ამ მხრივ დამახასიათებელია ეგვიპტის, სირიის და არაბთა სხვა ქვეყნების მმართველი წრეების წარმომადგენლებისა და ამ ქვეყნების პრესის გამოსვლები, რომლებშიც გაკრიტიკებულია ბაღდადის სამხედრო დაჯგუფების შექმნა. „ჩვენ უარს ვამბობთ მონაწილეობა მივიღოთ ისეთ პაქტებში, — წერს ეგვიპტის ჟურნალი „როზა ელ-იუსეფი", რომლებიც ჩვენს ქვეყანას სამხედრო საწყობებად და ბრძოლის ველად გადააქცევენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის, კოლონიალიზმის მოსპობისათვის და ამით ხელს ვუწყობთ ომის წარმოშობის მთავარი მიზეზების აღმოფხვრას".

**დოცენტი ი. ტაბაღუა.**

# ბაღდადის პაქტის კომისიათა სესიები

პარიზი, 10 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, დღეს ბაღდადში გაიხსნა ბაღდადის პაქტის ეკონომიური და სამხედრო კომისიების სესია, პაქტისა, რომელშიც შედიან ინგლისი, თურქეთი, პაკისტანი, ირანი და ერაყი. სესიას მეთვალყურედ ესწრება ამერიკის შეერთებული შტატების ორი წარმომადგენელი.

ფრანს პრესის სააგენტო, იუწყება რა ეკონომიური კომისიის სესიის შესახებ, აღნიშნავს, რომ მისი მონაწილენი მიზნად ისახავენ მიაღებინონ მონაწილეობა შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს ბაღდადის პაქტის ეკონომიური კომისიის შემდგომ სესიებში.

# ჯეკ ლონდონი

## დაბადების 80 წლისთავის გამო

ჯეკ ლონდონის შემოქმედებას თვალსაჩინო ადგილი უკავია პროგრესულ ამერიკულ ლიტერატურაში. თავის ნაწარმოებებში ჯეკ ლონდონმა დიდი მხატვრული სიძლიერითა და სიმართლით უჩვენა ამერიკული კაპიტალიზმის ანტიჰუმანური არსი, გამოააშკარავა სასტიკი წინააღმდეგობანი ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯეკ ლონდონს მთელი თავისი არსებით სძულდა ხარბი და დესპოტური ამერიკული ბურჟუაზია. მან პირველმა შეიტანა ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურაში კლასობრივი ბრძოლისა და ფართო პროლეტარული მასების რევოლუციური პროტესტის თემა.

ჯეკ ლონდონი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის მუშათა მოძრაობასთან, გულახდილად გამოთქვამდა თავის სიმპათიებს ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა მიმართ. მას გულწრფელად სჯეროდა სამართლიანობის გამარჯვება. თავის წერილში „რას ნიშნავს ჩემთვის სიცოცხლე" ჯეკ ლონდონი წერდა: „მოვა დღე, როდესაც ჩვენ საკმაოდ გვეყოლება მუშახელი, გვექნება ბერკეტები ჩვენი საქმისათვის. ჩვენ დავანგრევთ ამ შენობას მთელი მისი სიდამპლით, დაუმარხავი გვამებით, შემზარავი ანგარებითა და ბინძური ჩარჩობით. ხოლო მერე გავწმენდთ სარდაფებს და ავაშენებთ ახალ ბინას კაცობრიობისათვის, რომელშიც უკვე აღარ იარსებებს პალატები რჩეულთათვის, სადაც ყველა ოთახი ფართო და სინათლიანი იქნება და სადაც შესაძლებელი იქნება სუფთა, ცხოველმყოფელი ჰაერით სუნთქვა... მე ვინარჩუნებ ადამიანის კეთილშობილებისა და სიდიადის რწმენას. მე მწამს, რომ სულის სიწმინდე და უანგარობა გაიმარჯვებს ამჟამად გამეფებულ ყოვლისშთანმთქმელ სიხარბეზე. და, ბოლოს, მე მჯერა მუშათა კლასისა".

თავის საუკეთესო ნაწარმოებებში ჯეკ ლონდონი გამოდიოდა როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი მწერალი. იგი მიისწრაფოდა შთაეგონებინა უბრალო ადამიანებისთვის თავიანთი სიდიადის შეგრძნება, გადაეშალა მათ წინაშე ფართო პერსპექტივები, დაენერგა რწმენა გონებისა და ნებისყოფის ძლიერებისადმი.

უბრალო ადამიანის კეთილშობილური თვისებების რწმენით გამსჭვალულია ჯეკ ლონდონის „ჩრდილოეთის მოთხრობები". ამ მოთხრობების გმირები ძლიერი ნებისყოფის, უშრეტი ენერგიისა და მამაცობის მქონე ადამიანები არიან. „თეთრი მდუმარების" ქვეყანაში, პოლარული წრის მახლობლად, ისინი ეძებენ ოქროს, ძვირფას ბეწვეულს, მაგრამ არა გამორჩენის სიყვარული ეწევა მათ კლონდაიკისა და იუკონის ოქროს საბადოებისაკენ, ულრანი ტყეებისა და ჩრდილოეთის თვალუწვდენი თოვლიანი ველებისაკენ. მათ იტაცებს თავგადასავლის წყურვილი, თავისუფლების სიყვარული და დასავლეთის გახრწნილი ბურჟუაზიული კულტურისადმი სიძულვილი. აქ, პირველყოფილი ბუნების პირისპირ, ისინი როგორც უვარგის ხარახურას, უკუაგდებენ ვაჭრულ მორალს, იწმინდებიან ბურჟუაზიული ცივილიზაციის უწმინდურებისაგან და შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან თავიანთი პიროვნების დასამკვიდრებლად, იცავენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას. ბუნებასთან სასტიკ ბრძოლაში ეს მამაცი ადამიანები ამჟღავნებენ მაღალ ადამიანურ ღირსებებს, ისინი გვხიბლავენ სიცოცხლის შეუდრეკელი ნებით, შეუპოვრობით დასახული მიზნის მიღწევაში, მამაცობით ყოველგვარი საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთგულებით სიყვარულში, სიმტკიცით მეგობრობაში. ასეთები არიან მეილმუტ კიდი და მეისონი — მოთხრობა „თეთრი მდუმარების" გმირები, სიტკა ჩარლი და მისი ცოლი პასუკი მოთხრობიდან „ქალის მამაცობა" და მრავალი სხვა.

მაგრამ ჩრდილოეთის მოთხრობებში ლონდონი გვიხატავს არა მარტო ასეთ მიმზიდველ პერსონაჟებს. თავის რომანტიკულ გმირებს მწერალი უპირისპირებს იმათ, ვისაც არა სურს ან არ შეუძლია უარყოს მტაცებლური მორალი, ვინც ოქროს გულისთვის ყოველგვარ ბოროტებას სჩადის. ასეთია ლონდონის პერსონაჟთა მთელი გალერია მოთხრობებში „შორეულ მხარეში", „ნაჭრილობევიანი კაცი", „Finis," „მოულოდნელობა" და სხვ. ესენი არიან მოგების გამმაგებული წყურვილით გატაცებული ადამიანები.

ჩრდილოეთის რომანტიკულ ეპოპეასთან ერთად გადმოცემულია ამერიკელ კოლონიზატორთა მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ბარბაროსული განადგურებისა და დარბევის მკაფიო სურათები. სატირულ მოთხრობაში „ჰიპერბორეული სასმელი" მწერალმა გვიჩვენა, თუ რას წარმოადგენს „ცივილიზატორთა" მასია, რომლებიც ჩრდილოეთის ხალხებს იპყრობენ. მოთხრობაში „მოხუცთა ლიგა" ჯეკ ლონდონი გვიხატავს ინდიელთა შეუპოვარ ბრძოლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

ინგლისელ, ამერიკელ და ფრანგ იმპერიალისტთა მძარცველური პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული ლონდონის „სამხრეთის მოთხრობები" — „მაპუის სახლი", „კულაუ-კეთროვანი", „გემბანის ტენტის ქვეშ" და სხვ., სადაც ასახულია წყნარი ოკეანის კუნძულებზე ადგილობრივი მოსახლეობის გასაოცარი ჩაგვრის სურათები.

1906-1910 წლებში ჯეკ ლონდონის შემოქმედებამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ წლებში მწერალი ახლო დგას მუშათა მოძრაობასთან, ეწევა აქტიურ პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. იგი აღფრთოვანებით მიესალმება რუსეთის 1905 წლის რევოლუციას და გამოდის მის მგზნებარე დამცველად. ჯეკ ლონდონის ამ პერიოდის ლიტერატურული შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გვიჩვენებს, რომ რუსეთის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა მწერალზე. მისმა ლექციებმა და სტატიებმა, რომლებიც გამსჭვალული იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების რწმენით, დიდი სახელი მოუხვეჭა მწერალს ამერიკელ მუშათა შორის. ამ წლებში შექმნა მან თავისი საუკეთესო ნაწარმოებები — „კლასთა ბრძოლა", „რევოლუცია", მოთხრობა „თეთრი ეშვი", რომანები „რკინის ქუსლი", „მარტინ იდენი".

ჯეკ ლონდონის შემოქმედების იდეურ მწვერვალს წარმოადგენს მისი რომანი „რკინის ქუსლი". მასში მწერალმა განსაკუთრებით სრულად გამოთქვა თავისი შეხედულება პროლეტარულ რევოლუციაზე. ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურაში ჯეკ ლონდონამდე არ ყოფილა ნაწარმოები, რომელიც ასე გაბედულად მოუწოდებდეს რევოლუციისაკენ, პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ.

რომანში მკაფიოდ არის ასახული ის გადამწყვეტი ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები, რომლებიც მოხდა ამერიკაში მონოპოლისტური კაპიტალის ზრდასთან და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ლონდონმა გვიჩვენა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი პლუტოკრატიული წრეების მზარდი აგრესიულობა და რეაქციულობა, მუშათა კლასის ძირითადი მასის გაღატაკება.

მაგრამ მიუხედავად რომანის დიდი პროგრესული მნიშვნელობისა მას ახასიათებს იდეური ნაკლოვანებანი. ჯეკ ლონდონმა ვერ შეძლო ეჩვენებინა თავის ნაწარმოებში პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ მას გულწრფელად სწამდა სოციალიზმი, ის ჭეშმარიტი მარქსისტი მაინც არ ყოფილა. უარყოფდა და გმობდა რა ბურჟუაზიულ მორალს, პოლიტიკასა და სახელმწიფო მმართველობას, მწერალმა მაინც ვერ დაძლია ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეზღუდულობა.

ჯეკ ლონდონის თანამედროვე ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები ასახულია მის მეორე თვალსაჩინო რომანში „მარტინ იდენი".

„მარტინ იდენი" თითქმის ავტობიოგრაფიული რომანია. უბრალო მეზღვაურისა და მუშის სახით, რომელმაც შეუპოვარი შრომით მაღალ ინტელექტუალურ განვითარებას მიაღწია, ლონდონმა თავისი პირადი ბედი დაგვიხატა. მაგრამ რომანში დასმული პრობლემებისა და მოვლენების ფართო ასახვამ ეს ნაწარმოები აქტუალურ სოციალურ რომანად გადააქცია. „მარტინ იდენი" — ეს არის რომანი შემოქმედი მხატვრის ბედზე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, იმ პიროვნების ბედზე, რომელიც მიისწრაფვის დააღწიოს თავი პირადული ინტერესების ვიწრო სამყაროს.

მაგრამ მუშათა მოძრაობის აღმავლობის ხანაშიც კი მწერალმა ვერ დააღწია თავი იდეურ მერყეობას. მართალ, რეალისტურ ნაწარმოებთა გვერდით იგი ქმნიდა ბურჟუაზიული მორალით გამსჭვალულ ყალბ მოთხრობებსა და რომანებს. ასეთია, მაგალითად, მისი მოთხრობების კრებული „მთვარის სახე", რომანები „სამთა გული", „ალისფერი ჭირი", „დიდი სახლის პატარა დიასახლისი" და სხვ.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ნ. კ. კრუპსკაიას მოგონება ვ. ი. ლენინის დამოკიდებულებაზე ჯეკ ლონდონის მოთხრობებისადმი: „ორი დღით ადრე მისი სიკვდილის წინ ვუკითხავდი საღამოთი ჯეკ ლონდონის მოთხრობას — ის ეხლაც დევს მაგიდაზე მის ოთახში — „სიცოცხლის სიყვარული". ძალიან ძლიერი ნაწარმოებია. თოვლიან უდაბნოში, სადაც ადამიანის ფეხი არ დადგმულა, დიდი მდინარის ნავსადგურისაკენ მიიწევს შიმშილისაგან მომაკვდავი, ავადმყოფი ადამიანი. ღონე ელევა, ის კი არ მიდის, მიცოცავს, მის გვერდით კი მიხოხავს ასევე შიმშილისაგან ღონემიხდილი მგელი. მათ შორის ბრძოლაა, ადამიანი სძლევს — თითქმის მკვდარი, ნახევრად შეშლილი მიაღწევს მიზანს. ილიჩს მოთხრობა მეტისმეტად მოეწონა. მეორე დღეს მთხოვა განმეგრძო ლონდონის მოთხრობების კითხვა... შემდეგი მოთხრობა შეგვხვდა სრულიად სხვა ტიპისა — ბურჟუაზიული მორალით გამსჭვალული.... გაიცინა ილიჩმა და ხელი ჩაიქნია".

ჯეკ ლონდონის შემოქმედება, მიუხედავად მისი ასეთი არათანაბარი ღირებულებისა, დღესაც ინარჩუნებს დიდ პროგრესულ და მხატვრულ მნიშვნელობას.

**ე. დავითაშვილი.**

# ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავი

ტირანა, 11 იანვარი. (საქდეს). გუშინ ტირანაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავს.

სახალხო თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ალბანეთის შრომის პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც შემოვიდნენ პრეზიდიუმში.

დარბაზში იყვნენ სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ალბანეთში მ. ი. ხოშევი, ტირანაში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

მოხსენება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავის შესახებ გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მანუშ მუფტიუმ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა მთავრობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

## მანუშ მუფტიუს მოხსენება

ტირანა, 11 იანვარი. (საქდეს). გააკეთა რა მოხსენება საზეიმო კრებაზე ტირანაში, რომელიც მიეძღვნა სახალხო რესპუბლიკად ალბანეთის გამოცხადების 10 წლისთავს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მანუშ მუფტიუმ თქვა:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამ 1946 წლის 11 იანვარს დააგვირგვინა ალბანელი ხალხის სახელოვანი გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია ჩვენი გმირი პარტიის ხელმძღვანელობით იტალიელ და გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე. ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენამ აღნიშნა ჩვენი ხალხის ისტორიის ახალი ეტაპი, გაუხსნა მას ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზა.

უმაგალითო ტემპით ვითარდებოდა სახალხო ხელისუფლების წლებში ალბანეთის ეკონომიკა და კულტურა. 1938 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 1955 წლის დამლევისათვის — პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გადიდდა 12,5-ჯერ. ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია 1950 წელთან შედარებით გადიდდა 5,5-ჯერ, სამთამადნო მრეწველობისა — 1,7-ჯერ. მარტო ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატი ახლა უშვებს 48-ჯერ მეტ ბამბის ქსოვილებს, ვიდრე მთელ ალბანეთში ამზადებდნენ 1938 წელს.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობამ. ალბანეთში ნათესი ფართობები 1938 წელთან შედარებით გადიდდა 70 პროცენტით, ხოლო მარცვლეულის წარმოება — 75 პროცენტით. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით სოფლის მეურნეობა სულ უფრო იარაღდება თანამედროვე ტექნიკით. გლეხებს სახელმწიფო აძლევს დიდ ფულადს დახმარებას, მაღალი ხარისხის თესლს, მინერალურ სასუქებს, ახორციელებს დიდ სამელიორაციო სამუშაოებს.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა:

ჩვენში ახლა 318 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია. მარტო 1955 წელს შეიქმნა 168 კოოპერატივი. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივების ხვედრითი წონა მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, ისინი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ძალა გახდნენ. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებთან ერთად კოოპერატივები ქვეყანას აძლევენ მარცვლეულის მთელი მოსავლის 13,6 პროცენტს, შაქრის ჭარხლის 77,4 პროცენტს და ბამბის 29,8 პროცენტს.

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. 1950 წელთან შედარებით საცალო ქსელი 1955 წელს ერთნახევარჯერ გაფართოვდა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ყოველმხრივ განმტკიცებამ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას შესაძლებლობა მისცა ამას წინათ მიეღო დადგენილება სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

შეეხო რა 1956 წლის სახელმწიფო გეგმას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ გეგმაში გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა. მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წელს 11 პროცენტით გადიდდება 1955 წელთან შედარებით.

მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა, რომ 1956 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის კოოპერირებას. ჩვენი სოფლის მეურნეობა, ამბობს იგი, შეიძლება მხოლოდ ამ გზით განვითარდეს და აყვავდეს.

ალბანეთის შრომის პარტია და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, განაგრძო მ. მუფტიუმ, მჭიდროდ უკავშირებენ ერთმანეთს სოციალიზმის მშენებლობასა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლას. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ჩვენი სახალხო-დემოკრატიული წყობილების თვით არსიდან გამომდინარეობს. ალბანეთის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ მზად არის ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებზე ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქვეყანასთან, განურჩევლად მათი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილებისა. მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ახორციელებდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევის პოლიტიკას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და სახელმწიფო მდივანმა დალესმა ამას წინათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, მათ შორის ჩვენს ხალხსაც მიმართეს ეგრეთწოდებული „საშობაო წერილებით", რომლებითაც ისინი „უსურვებენ" ამ ხალხებს მათი შავბნელი წარსულის დაბრუნებას. მაგრამ ალბანელი ხალხი სხვანაირად ფიქრობს და თავისი საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებს, მიუხედავად იმპერიალისტების სურვილისა. სურთ თუ არა ეს იმპერიალისტებს, თავისუფალი და სუვერენული ალბანეთი სოციალიზმს აშენებს და მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი ხალხი მის მიერ არჩეულ გზაზე, რომელიც განათებულია მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ყოვლისშძლე იდეებით.

ალბანელი ხალხი მშვიდობის დიდი და ძლევამოსილი ბანაკის აქტიური და თანმიმდევრული მონაწილეა. იგი მჭიდრო, გულწრფელი და ძმური მეგობრობით არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხთან, ჩვენს დიდ განმათავისუფლებელსა და დამცველთან. ჩვენი სუვერენული თავისუფალი სახალხო რესპუბლიკის არსებობას საფუძვლად უდევს ეს მეგობრობა.

ჩვენმა ხალხმა მჭიდრო, ძმური, მეგობრული ურთიერთობა დაამყარა დიდ ჩინეთთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ აღადგინა ძმური ურთიერთობა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვებაა. ეს გამარჯვება მიღწეულია ალბანელი ხალხის დიდი მეგობრისა და ყველა ხალხის უფლებათა დამცველის — საბჭოთა კავშირის ინიციატივის მეოხებით.

საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები განუხრელად ახორციელებდნენ და ახორციელებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას. ჩვენმა ქვეყნებმა უკვე განახორციელეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ამას მოწმობენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კვლავაც შეინარჩუნონ და განამტკიცონ „ჟენევის სულისკვეთება".

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგები კვლავ ბრწყინვალედ ადასტურებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ეს შედეგები უდიდესი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების მქონე ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა ხალხი.

დასასრულ მ. მუფტიუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალბანელი ხალხი ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად კვლავაც განაგრძობს ბრძოლას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, კვლავაც მტკიცედ ივლის წინ სოციალიზმის მშენებლობისა და თავისი სახელმწიფოს — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის განმტკიცების გზით.

## ავსტრალიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 11 იანვარი. (საქდეს). როგორც მელბურნის რადიო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა მენზისმა გამოაცხადა შემადგენლობა ავსტრალიის ახალი მთავრობისა, რომელიც ჩამოყალიბდა პარლამენტის ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ. მან განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ავსტრალიის მთავრობა შეიქმნას ინგლისის მთავრობის ნიმუშის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიაში ახლა არის კაბინეტი და ცალკეული სამინისტროები, რომლებსაც მეთაურობენ მინისტრები, რომლებიც კაბინეტის წევრები არ არიან. კაბინეტში შედის 12 მინისტრი. გარდა ამისა, 10 მინისტრი არ შედის კაბინეტში.

პრემიერ-მინისტრის პოსტი უკავია მენზისს, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი—კეზისს.

## ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ქაბული, 10 იანვარი. (საქდეს). გაზეთმა „ისლაჰმა" გამოაქვეყნა ბახტარის სააგენტოს ცნობა, სადაც მოყვანილია ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შინაარსი. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ პაკისტანის მთავრობამ, რომელიც მტრულ პოლიტიკას აწარმოებს ავღანეთის მიმართ, ყოვლად უსაფუძვლოდ და უსაბაბოდ მოსთხოვა ავღანეთის მთავრობას შვიდი დღის განმავლობაში გაეწვია კვეტაში მყოფი კონსული მოჰამედ აქბარ პარვანი. კონსული, ქაბულიდან მიღებული მითითებით, წამოვიდა კვეტიდან.

ავღანეთის მთავრობა ყოველთვის მოთმინებით ეკიდებოდა კარაჩის მთავრობის მტრული პოლიტიკის სხვადასხვა გამოვლინებას, და თუმცა ცნობილია, რომ პაკისტანის დიპლომატიური წარმომადგენლები ავღანეთში მტრულ საქმიანობას ეწევიან ავღანეთის წინააღმდეგ, ავღანეთის მთავრობა მათ მიმართ დღემდე მაინც არ იღებდა რაიმე ღონისძიებას.

ავღანეთის მთავრობა, რომელმაც გაითვალისწინა კარაჩის მთავრობის ეს მტრული ღონისძიება ავღანეთის მიმართ, ნათქვამია ცნობაში, იძულებული გახდა შესაბამისი ღონისძიებანი განეხორციელებინა და მოსთხოვა პაკისტანის მთავრობას ერთი კვირის ვადაში გაიწვიოს ავღანეთიდან პაკისტანის საელჩოს ატაშე მაზარულ ჰაკა იმის გამო, რომ იგი მუდმივ აქტიურ საქმიანობას ეწევა ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

პეკინი, 11 იანვარი. (საქდეს). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 9 იანვარს ლინძიანის რაიონში ამერიკის ორი სამხედრო თვითმფრინავი შემოიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში. ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც გზა გადაუჭრეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა, მიიმალნენ.

ამ დარღვევასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 10 იანვარს შემდეგი განაცხადა:

ამერიკის ორი სამხედრო თვითმფრინავის შემოჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში, რაც მოხდა 1956 წლის 9 იანვარს, სერიოზული სამხედრო პროვოკაციაა შეერთებული შტატების მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფაა. ჩინეთის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღოს ზომები, რათა ასეთი ინციდენტები აღარ გამეორდეს.

ჩინეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ჩინეთის საჰაერო სივრცეში ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების შემოჭრა სრულიადაც არ არის შემთხვევითი იმ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ერთი მხრივ მიმართავს ჩინეთ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების გაჭიანურების ტაქტიკას, ხოლო მეორე მხრივ— ბევრ თავის მაღალი თანამდებობის მოხელესა და ოფიცერს გზავნის ჩვენი ქვეყნის რაიონში — ტაივანზე სამარი მზადების დასაჩქარებლად. ეს ინციდენტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან ყოველგვარი საშუალება გამოიყენონ შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შესაქმნელად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამ აქტმა ჩინელი ხალხის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებსა და ხალხებს არ შეუძლიათ არ გააძლიერონ სიფხიზლე ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების მიმართ.



**ბათუმი.** შავი ზღვის სანაპირო ბაღში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## თბილისში ჩამოვიდა ინდოელი მწერალი კრიშან ჩანდრი

გუშინ, 11 იანვარს, ერევნიდან თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი პროგრესული მწერალი, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს გენერალური მდივანი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი კრიშან ჩანდრი.

კრიშან ჩანდრს ვაგზალში შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივნები ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. კვესელავა, მწერლები ს. შანშიაშვილი, ა. ბელიაშვილი, კ. კალაძე და სხვები.

კრიშან ჩანდრს განზრახვა აქვს გაიცნოს ქართველი მწერლების შემოქმედებითი მოღვაწეობა, რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

* * *

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სალიტერატურო სექცია 12 იანვარს შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში აწყობენ კრიშან ჩანდრთან თბილისის ლიტერატურული საზოგადოებრიობის შეხვედრას. (საქდეს).

## ინდოეთმა უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება ხორბლის მიწოდების შესახებ

პარიზი, 10 იანვარი. (საქდეს). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ინდოეთის მთავრობამ უარყო შეერთებული შტატების წინადადება 100 ათასი ტონა ხორბლის მიწოდების შესახებ ორისის შტატში წყალდიდობისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ინდოეთის მთავრობის უარი გამოწვეულია იმით, რომ ამერიკის ორგანიზაციებს სურდათ კონტროლი გაეწიათ ამ ხორბლის განაწილებისათვის. ინდოეთის მთავრობამ მიიჩნია, რომ ასეთი პირობა ლახავს ინდოეთის რესპუბლიკის პრესტიჟს.

## საჰაერო მიმოსვლა ვარშავას, ბუდაპეშტსა და ბელგრადს შორის

ბელგრადი, 10 იანვარი. (საქდეს). ტანიუგის სააგენტო იუწყება, რომ შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე 14 იანვარს იხსნება საჰაერო მიმოსვლა ვარშავას, ბუდაპეშტსა და ბელგრადს შორის. ამ ხაზზე კვირაში ორჯერ ივლიან პოლონეთის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ორგანიზაცია „ლეტის" თვითმფრინავები.

## საბავშვო მუსიკალური ლექტორიუმი

რამდენიმე წელია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებობს საბავშვო მუსიკალური ლექტორიუმი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს თბილისის მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეებს. აქ მათ აცნობენ ცალკეულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებას, სიმღერებს, კამერულ ნაწარმოებებს, აწყობენ შეხვედრებს ქართველ საბჭოთა კომპოზიტორებთან. უკვე მოეწყო შეხვედრები კომპოზიტორებთან რ. გაბიჩვაძესთან, გ. კოკელაძესთან, ა. შავერზაშვილთან, ვ. ცაგარეიშვილთან, წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა", „მოცარტი", „კამერული და სიმფონიური მუსიკა", „ბეთჰოვენი", „მუსორგსკი", „ბოროდინი" და სხვ. სულ გასულ წელს წაკითხულ იქნა 70 ლექცია-კონცერტი.

ლექციებს კითხულობენ დოცენტი პ. ხუჭუა, მუსიკათმცოდნეები მ. ფიჩხაძე, გ. თორაძე, მ. მესხი და სხვ.

გასულ წელს მოეწყო გასვლითი ლექცია-კონცერტი სოხუმში, ბათუმში იქ არსებული მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა დასახმარებლად.

## საჭადრაკო ჩემპიონატები, ტურნირები

1956 წელს გაიმართება მრავალი საინტერესო საჭადრაკო შეხვედრა, ჩემპიონატი, ტურნირი. დაიწყო უძლიერესთა ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე. ამსტერდამში მარტის ბოლო რიცხვებიდან გაიხსნება 10 უძლიერესი გროსმაისტერის ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონთან მ. ბოტვინიკთან შესახვედრად. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 6 საბჭოთა მოჭადრაკე —ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ე. გელერი, ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი, აგრეთვე ო. პანო და გ. პილნიკი (არგენტინა), ლ. საბო (უნგრეთი), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია).

მიმდინარე წლის ზაფხულში მოსკოვში გაიმართება უდიდესი საერთაშორისო საჭადრაკო შეხვედრა — მსოფლიოს გუნდური პირველობა. ამ შეჯიბრებაში თვითეული ქვეყნიდან მონაწილეობას მიიღებს 4 მოჭადრაკე. ამის შემდეგ მოეწყობა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, მიძღვნილი გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის, მსოფლიოს ჩემპიონის ა. ალიოხინის ხსოვნისადმი. ყველაზე საინტერესო იქნება საკავშირო მასობრივი საჭადრაკო ტურნირი, რომელიც დაიწყება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში და დამთავრდება უძლიერესთა ფინალით.

### სასამართლო

## ქურდს ღირსეული სასჯელი დაედო

რკინიგზის სადგურიდან უდარდელი ნაბიჯით გამოვიდა ყმაწვილი კაცი. იგი მიუახლოვდა ტაქსების გაჩერების ადგილს და გულდასმით ჩაათვალიერა მოქალაქენი. მისი ყურადღება ერთმა მათგანმა მიიპყრო, რომელიც იქვე მდგომ ნაცნობს ესაუბრებოდა, ხოლო ჩემოდანი უყურადღებოდ დაეტოვებინა გვერდზე. ყმაწვილ კაცს ბევრი აღარ უფიქრია, ჩემოდანს ხელი წამოავლო და ხალხში გაერია.

მისი მოქმედება არ გამოეპარათ მილიციის მუშაკებს და მოქალაქე ბერულავას დახმარებით ქურდი თავისი ხელბარგით მილიციის განყოფილებაში წააბრძანეს.

დამნაშავე აღმოჩნდა იოსებ იაკობის-ძე იაკობაშვილი. ქურდობა და პატიმრობა მისთვის ახალი რამ არ იყო: 25 წლის ახალგაზრდას უკვე მოესწრო პატიმრობაში რამდენიმე წლის გატარება. მაგრამ სამიოდე თვის წინათ განთავისუფლებული ისევ დაბრუნებოდა თავის სამარცხვინო „პროფესიას".

თბილისის სტალინის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ნ. ნამორაძე) იოსებ იაკობის-ძე იაკობაშვილს მიუსაჯა 8 წლის პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ზ. ზურაბაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

---


რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

შაბათს 14 იანვარს და კვირას 15 იანვარს
დღისით და საღამოს
**ახალი წარმოდგენა**
მიხეილ ჯაფარიძე
**ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ი**
პიესა 4 მოქმედებად და 5 სურათად

მონაწილეობენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩიხლაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: გ. გეგეჭკორი, ბ. ზაქარიაძე, თ. ჩარკვიანი, მსახიობები: დ. გაგუა, მ. გეგეჭკორი, თ. თეთრაძე, ბ. კობახიძე, მ. მიქელაძე, ე. საყვარელიძე, ლ. ფოჩხუა, ლ. ღამბაშიძე.

დადგმა — ა. დვალიშვილისა, მხატვარი — ნ. ცაგარელი, რეჟისორის ასისტენტი — ბ. ნიკოლაიშვილი, რეჟისორის თანაშემწე — გ. ძნელაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე და დღისით 12 საათზე. ბილეთების წინასწარი შეძენა შეიძლება თეატრის და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.



**დ ღ ე ს**
**თბილისის თეატრებში**

რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, სომხური დრამის — ნამუსი, თოჯინების ქართული — მშვიდობის ფრთებზე (10 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — დევნილნი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — სისხლიანი გზა, კომკავშირელი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი — ჩრდილი და სინათლე, დიდუბე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — მაქსიმე პერეპელიცა, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი — მაგდანას ლურჯა.


## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო გადაწყვეტილება № 857

**1955 წლის 21 დეკემბერი**

ქალაქ თბილისში მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობაში მღრღნელებისაგან ინფექციური დაავადებათა გავრცელება, აგრეთვე შემცირდეს ეკონომიური ზარალი, რასაც მღრღნელები აყენებენ ქალაქის მეურნეობას, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს:

1. ქალაქ თბილისში მოეწყოს გეგმიანი, მთლიანი სისტემატური დერატიზაცია ქალაქის როგორც საზოგადოებრივი, ისე ინდივიდუალური სექტორის ყველა ნაგებობაში.

2. მღრღნელებთან ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს თბილისის საქალაქო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს, რომელსაც დაევალოს თბილისის საქალაქო სადეზინფექციო სადგურთან შექმნას საუწყებათაშორისო კომიტეტი სადერატიზაციო ღონისძიებათა კოორდინაციისა და ცალკეული მეთოდური საკითხების გადაჭრისათვის.

3. მთლიანი სისტემატური დერატიზაციის გატარებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ საწარმოების, დაწესებულებების, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სახლმმართველობებს, სახლების მოიჯარეებს და პირად მესაკუთრეებს, რომლებსაც დაევალოთ:

ა) აწარმოონ მღრღნელებთან ბრძოლა შენობების, ნაგებობებისა და სათავსების მთელ ტერიტორიაზე, ეზოების შენობებში და მათ მახლობელ ტერიტორიაზე, რისთვისაც დადონ ხელშეკრულებები თბილისის საქალაქო სადეზინფექციო სადგურის პროფდეზინფექციის განყოფილებასთან.

**შენიშვნა:** თუ შენობებსა და სათავსებში ამჟამად არ არის მღრღნელები ან თუ ისინი გაწყდნენ გატარებულ სადერატიზაციო ღონისძიებათა შედეგად, ეს ზემოდასახელებულ პირებს უფლებას არ აძლევს შეწყვიტონ ამ ღონისძიებათა გატარება და გააუქმონ ხელშეკრულება თბილისის საქალაქო სადეზინფექციო სადგურის პროფდეზინფექციის განყოფილებასთან.

ბ) თავიანთი ძალებით უზრუნველყონ შენობებისა და სათავსების ყველა იმ დაზიანებული ადგილის ამოქოლვა, რომლებიც გასასვლელად გამოადგებათ მღრღნელებს;

გ) სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში იქონიონ შენობები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ ეკუთვნის ეზოს ნაგებობებთან ერთად;

დ) ყოველწლიურად ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინონ სათანადო სახსრების გამოყოფა მღრღნელებთან გეგმიანი, მთლიანი სისტემატური ბრძოლის ჩასატარებლად.

4. დაწესდეს, რომ ობიექტის სადერატიზაციო დამუშავება წლის განმავლობაში მოხდეს 72-ჯერ.

5. დაევალოთ იმ საუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებსაც თავიანთი დეზსამსახური აქვთ, უზრუნველყონ დერატიზაციით თავიანთი საუწყებო შენობებისა და სათავსების სრული მომსახურება, ან მათი მომსახურების საქმე გადასცენ თბილისის საქალაქო სადეზინფექციო სადგურის პროფდეზინფექციის განყოფილებას.

6. მღრღნელების მოსპობის ღონისძიებათა ჩაუტარებლობისათვის ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში აღნიშნულ ხელმძღვანელებს ადმინისტრაციული წესით დაედებათ ჯარიმა 100 მანეთამდე, ან მიესჯებათ იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ვადით.

7. ამ სავალდებულო გადაწყვეტილების შესრულებისადმი მეთვალყურეობა ეკისრებათ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. მაღრაძე**.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი **შ. ბაქრაძე**.


თბილისის სახელმწიფო ცირკი

მხოლოდ 12, 13, 14, 15, 16
ი ა ნ ვ ა რ ს
**ახალი ატრაქციონი**
უსურიის და ბენგალიის
**ვ ე ფ ხ ვ ე ბ ი**
მომთვინიერებელი რსფსრ დამსახურებული არტისტი
**ა. ნ. ალექსანდროვი**
უკანასკნელი გამოსვლა
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**კვირას, 15 იანვარს, დღის ორი საბავშვო წარმოდგენა.** დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს. ბილეთები აყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.



**დისერტაციების დაცვა**
**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
(უნივერსიტეტის ქ. № 3)

1956 წ. 24 იანვარს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
**გრიგოლ დიანოზის-ძე მანაგაძე**
დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Новый метод количественной интерпретации аномалий силы тяжести".

1956 წ. 25 იანვარს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
**არჩილ გიორგის-ძე ჭრელაშვილი**
დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Некоторые электрические свойства поликристаллических керамических материалов на основе двуокиси титана".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



**ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1) რუსული ენის კათედრის გამგე — დოცენტი ან პროფესორი—1,0 განაკვეთი.

2) მათემატიკის კათედრის დოცენტი (გეომეტრიის სპეციალობით)—1,0 განაკვეთი.

3) პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი (ფსიქოლოგიის სპეციალობით) — 1,0 განაკვეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეიტანონ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, დიპლომის ასლი ხარისხის მინიჭების შესახებ, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

განცხადების შეტანის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.



მოქალაქე ნინო სერგის ასულმა გვალიამ, მცხოვრებმა რუსთაველის პროსპ. № 15, აღძრა საქმე კეცხოველის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე ალექსანდრე იორდანეს-ძე გვალიასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ტატიანა დიმიტრის ასულმა სოლოდკინამ, მცხოვრებმა ქვიშხეთის ქ. № 6, აღძრა საქმე ქ. ხერსონში, ლომონოსოვის ქ. № 35 მცხოვრებ ივანე ათანასეს-ძე სოლოდკინთან განქორწინების შესახებ საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.



შვილები ქეთევან, ანტონ, მართა ოჯახებით იუწყებიან
**მარიამ იოსების ასულ კელენჯერიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-I, 8 ს. გამოსვენება 15-I, 3 ს. უნივერსიტეტის ქ. № 48.

დედა ოლღა, მეუღლე ნინო, ძმები სამსონ, კოლია, და ოლია ოჯახებით იუწყებიან
**ვალოდია ილარიონის-ძე კაჭახიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-I, 4 ს. სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი).

თბილისის 30-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება მასწავლებელ
**იულია ირაკლის ასულ გურგენიძე-ნოზაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 12-I, 3 ს. სვერდლოვის ქ. № 2.

მეუღლე შალვა, შვილები გივი, გაგი, ვაჟა ოჯახებით იუწყებიან
**აგრაფინა პეტრეს ასულ ოყროშიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-I, 8 ს. გამოსვენება 15-I, 3 ს. საზღვრის ქ. № 16.

მეუღლე ფლორენცია, შვილები ფაცურა, კლარა, დავით ოჯახებით იუწყებიან
**დავით ანტონის-ძე შავიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-I, 4 ს. ქ. მახარაძეში. გამოსვენება კლდიაშვილის ქ. № 2.

სასტუმრო „თბილისის" პარტორგანიზაცია იუწყება
**აპოლონ გიგოს-ძე რაზმაძის**
გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე, დეიდა ანა, ძმა გიორგი, და მანია ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
**პავლე დავითის-ძე ახალკაცის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14-I, 8 ს. ბინაზე, კიროვის ქ. № 16. გამოსვენება 15-I, 2 ს. პირველი მუსიკალური სასწავლებლიდან, ენგელსის ქ. № 14.

შვილები კოტე, მეგი, დარეჯან, ძმა ვალერიან, და ეუჯენა ოჯახებით იუწყებიან
**ნოე კონსტანტინეს-ძე კვერენჩხილაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-I ქ. ქობულეთში. გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 39.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-26-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00109 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.